საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020174903694822

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/2487 **19 / აპრილი / 2022 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხობის მუნიციპალიტეტში, ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, (ფართობი - 617890 კვ. მ (61,79 ჰა)), 25 951 380 ტონა კირქვის მოპოვების (ID 53974/47286) სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 150-250 მ სიმაღლეზე, ხობის მუნიციპალიტეტში, ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.

სალიცენზიო ობიექტი ფიქსირდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

ობიექტი არ ხვდება, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 გვერდი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვერდი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი გელაშვილი